ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

მმართველობითი ანგარიშგება

2024

ჯიპიაი ჰოლდინგი

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ 2017 წლიდან გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის წევრია. შესაბამისად ჩვენი საქმიანობით ვცდილობთ ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას შევუწყოთ ხელი. 17 მიზნიდან, ჩვენი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ჩვენთვის ყველაზე რელევანტური და მნიშვნელოვანია 4 მიზანი, რომელთა შესრულებაშიც ყოველწლიურად, სხვადასხვა პროექტებით შეგვაქვს წვლილი.

ეს მიზნებია:

ამ ანგარიშშიც, სწორედ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად 2024 წელს, ჩვენი კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტებს შეხვდებით.

მმართველი ორგანოები

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ მმართველი ორგანოებია:

აქციონერთა საერთო კრება | სამეთვალყურეო საბჭო | და | ხელმძღვანელი ორგანო

მმართველი ორგანოები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობისა და მზღვეველის წესდების შესაბამისად.

01

აქციონერთა საერთო კრება არის უმაღლესი ორგანო, რომელიც გლობალურ დონეზე განსაზღვრავს კომპანიის პოლიტიკასა და სტრატეგიულ მიზნებს.

02

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 6 წევრისგან და ახორციელებს ხელმძღვანელი პირების საქმიანობის კონტროლს. მის დაქვემდებარებაში შედის აუდიტის კომიტეტი, რომელიც მონიტორინგს უწევს კომპანიაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესს და ზრუნავს მის გამართულ ფუნქციონირებაზე.

03

ხელმძღვანელი ორგანო 4 დირექტორისგან შედგება: გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, საოპერაციო დირექტორი და ბაზარზე განვითარების დირექტორი. ყველა მათგანი კურირებს კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, პასუხისმგებელია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების დაგეგმვასა და შესრულებაზე.



ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

თანამშრომლები

“ჯიპიაი ჰოლდინგი“ ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია საქართველოში. კომპანიაში მთელი ქვეყნის მასშტაბით და მთელი ქვეყნის მასშტაბით 708 თანამშრომელია დასაქმებული. თანამშრომლების განვითარებასა და კომფორტზე ზრუნვა ჩვენი კომპანიის CSR სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.

გვჯერა, რომ ლოიალური თანამშრომლებით ჩვენი ბიზნესი ბევრად უფრო წარმატებული იქნება. სწორედ ამიტომ უზრუნველვყოფთ ყველა თანამშრომლისთვის უსაფრთხო, თანასწორ და მათ კეთილდღეობაზე მორგებულ სამუშაო გარემოს. ჩვენი ყველა თანამშრომელი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევის საუკეთესო პაკეტით, რასაც კომპანია სრულად აფინანსებს. გაყიდვების თანამშრომლებს ჯიპიაი უზრუნველყოფს ერთწლიანი ულიმიტო სამგზავრო ბარათით და უფასო სასაუბრო დროით. Covid-19 ის შემდეგ ჩვენს თანამშრომლებს საშუალება აქვთ ჰიბრიდული რეჟიმით იმუშაონ.

ჯიპიაის როგორც ქალ, ასევე კაც თანამშრომლებს აქვთ საშუალება გამოიყენონ დერკეტული შვებულება. გარდა ამისა,“მოქმედების დღის“ ფარგლებში, ჯიპიაის თანამშრომლებს სტანდარტულ შვებულების დღეებთან ერთად შეუძლიათ 1 დამატებითი შვებულების დღე აიღონ სოციალური აქტივობებისთვის და ეს დღე კეთილი საქმეებს მოახმარონ.

ჩვენს კომპანიაში მრავალი წელია არსებობს ფონდი „თანადგომა“ , რომელიც ჯიპიაის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების საჭიროებისამებრ დახმარების მიზნით შეიქმნა. ფონდში შემოსული თანხა მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში ჯიპიაის თანამშრომლებს ან მათი ოჯახის წევრებს ხმარდება. 2024 წლის მონაცემებით ფონდში „თანადგომა“ ჯიპიაის 219 თანამშრომელია ჩართული. გასულ წელს ჩვენს 8 კოლეგას დასჭირდა დახმარება და ჯამში მათ ფონდმა 113 609 ლარის დახმარება გაუწია.

გენდერული ბალანსი

ჯიპიაიში დასაქმებულების 70%-ზე მეტი ქალია.
გენდერულ ბალანსს ვიცავთ მენეჯერულ პოზიციებზეც.

თანამშრომელი სულ:

708

555 **153**

მენეჯერულ პოზიციაზე:

41 **29**





საუკეთესო ადგილი სამუშაოდ

2024 წელს „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ საუკეთესო სამუშაო ადგილის სერთიფიკატი მოიპოვა. კვლევა „ვენის სადაზვევო ჯგუფის“ დაკვეთით საერთაშორისო კველვითმა კომპანიამ Great Place To Work-მა ჩაატარა. კოპანიამ ანონიმური კითხვარის საფუძველზე გამოკითხა ჩვენი თანამშრომლები და მათ ჯიპიაი საუკეთესო დამსაქმებლად შეაფასეს.

კომპანიის თანამშრომლების აზრით ჯიპიაი საუკეთესო ადგილია სამუშაოდ. ეს შეფასება კომპანიამ რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით მიიღო , მათ შორისაა: გუნდურობა, პროფესიონალიზმი, სტაბილურობა, თანადგომა, წინსვლასა და უწყვეტ განვითარებაზე ორიენტაცია.

სწავლება და განვითარება

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის სტრატეგიის შესაბამისად, სწავლება და განვითარება ისევ სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა:

01 მენეჯერული რესურსის განვითარება

02 ექსპერტების რესურსის განვითარება
(ექსპერტულ რგოლში ძირითადად მოიაზრება დაზღვევისთვის სპეციფიკური პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციის მატარებელი პოზიციები)

03 ძირითადი ბიზნეს ერთეულების: ციფრული, გაყიდვის და მომსახურების რგოლის გაძლიერება;

წინა წლის მსგავსად, 2024 წელსაც ძირითადი პრიორიტეტი, მომსახურების რგოლის/მხარდაჭერის სამსახურის და გაყიდვის რგოლის თანმაშრომელთა კომპეტენციების განვითარებაზე გაკეთდა. გადამზადდა როგორც წინა ხაზის, ასევე შუა რგოლის წარმომადგენლები.

სწავლება და განვითარების მიმართულება მოიცავდა როგორც შიდა, ასევე გარე ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს და მასტერკლასებს. შიდა სასწავლო აქტივობებს ჯიპიაის თანამშრომლები ატარებდნენ, ხოლო გარე ღონისძიებებს მოწვეული ექსპერტები უძღვებოდნენ. 2024 წელს სასწავლო პლატფორმა „მასტერპლანმა“ კიდევ უფრო მეტი დაინტერესება მოიპოვა.

თანამშრომლობა აკადემიურ სექტორთან - 2024 წელსაც, ჯიპიაიმ გააგრძელა თანამშრომლობა საქართველოს უნივერსიტეტთან და კვლავ შესთავაზა სტუდენტებს სტაჟირების პროგრამა. 2024 წელს, წინა წლების ანალოგიურად, სავალდებულო ტრენინგების სახით ყველა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება, როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების, ასევე AML მიმართულებით.

ენერგია მოძრაობაშია
დაიმუხტე და განიმუხტე

2024 წელს განვახორციელეთ ახალი პროექტი „ენერგია მოძრაობაშია – დაიმუხტე და განიმუხტე“, რომელიც განკუთვნილია იყო ჯიპიაის ჰოლდინგის ბექის და მომსახურების რგოლების თანამშრომლებისთვის.

პროექტის მიზანი იყო ჰიბრიდული მუშაობის პირობებში გაგვეძლიერებინა გუნდურობა და ერთიანობის შეგრძნება თანამშრომლებში. გაგვეზარდა მოტივაცია, შეგვეჯამებინა წლის შედეგები შესაბამისი დეპარტამენტების მიხედვით და დაგვეგეგმა 2025 წელი.

პროექტის ფარგლებში დაკავშირებული დეპარტამენტები 2024 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში იმყოფებოდნენ ლოპოტაზე. მთელი დღე დატვირთული იყო გუნდური სამუშაოებით და გასართობი აქტივობებით. თანამშრომლებმა შეძლეს ერთად განტვირთვა, ახალი კოლეგების გაცნობა და სამომავლო გეგმების დასახვა.

პროექტმა გაამართლა თავისი იზნები და თანამშრომლებში ძალიან დადებითი გამოხმაურებაც ჰპოვა. ამიტომ ის 2025 წელს კიდევ უფრო საინტერესოდ გაგრძელდება.

პარიზის მარათონი

„ჯიპიაი ჰოლდინგში“ ვთვლით, რომ კომპანიის წარმატება პროფესიონალ და ლოიალურ თანამშრომლებზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ ვცდილობთ მათთვის განსაკუთრებული პირობები შევქმნათ და მოტივაციის გასაზრდელად წამახალისებელი აქტივობები შევთავაზოთ.

უკვე ტრადიციად ვაქცეთ ყოველწლიური გაყიდვების მარათონი, რომელშიც კომპანიის 300-მდე გაყიდვების თანამშრომელი იღებს მონაწილეობას. ყველას თანაბარი შანსი აქვს გამარჯვების და საოცნებო საგზურის მოპოვების.

2024 წლის მარათონი მართლაც გამორჩეული იყო. ჩვენი მთავარი პრიზი ამჯერად პარიზის საგზური გახდა, რომლის მოპოვებაც 20-მა ყველაზე წარმატებულმა გაყიდვების მენეჯერმა შეძლო. მათ 3 თვის განმავლობაში ხვადასხვა კატეგორიაში გაყიდვებში საუკეთესო შედეგი დააფიქსირეს. გამარჯვებულები იყვნენ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის, ფოთის და ზუგდიდის ოფისებიდან.

მარათონში მონაწილეობა მიიღეს როგორც საცალო, ისე კორპორაციული გაყიდვების მენეჯერებმა. მათი მოგზაურობა პარიზში სრულად დააფინანსა ჯიპიაიმ.



VIG KIDS CAMP 2024

ტრადიციულად 2024 წლის ზაფხული ავსტრიაში გაატარეს ჩვენი კომპანიის თანამშრომლების შვილებმა.

9-14 წლამდე მოზარდებს კვლავ მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში და ორი კვირა ავსტრიაში - საერთაშორისო ბანაკში გაეტარებინათ. ბანაკში მოსახვედრად ბავშვებს უნდა გადაეღოთ ფოტო თემაზე: სოლიდარული ქმედება. ჟიურიმ, ჯიპიაიდან 64 მონაწილის ფოტო გამოარჩია და ბავშვებმა ორი ძალიან საინტერესო კვირა გაატარეს ვენისა და ზალცბურგის ბანაკებში, სადაც მათთან ერთად VIG-ის წევრი სხვა კომპანიების თანამშრომელთა შვილებიც იმყოფებოდნენ, 25 სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ დაათვალიერეს ვენისა და ზალსბურგის ღირსშესანიშნაობები, მუზეუმები და თვითონ ბანაკშიც არაერთი საინტერესო აქტივობის მონაწილეები გახდნენ. შეიძინეს ახალი მეგობრები სხვადასხვა ქვეყნიდან.

EYFON VIG YOUTH DAYS

2024 წელს, უკვე მესამედ “ჯიპიაის” თანამშრომლების 14-17 წლის შვილები European Youth Forum Neumarkt (EYFON) მონაწილეები იყვნენ. ბანაკში მოსახვედრად, მათ უნდა წარედგინათ მოკლე ვიდეო, ფოტოკოლაჟი ან ესე თემაზე: „სოლიდარული ქმედება“.

ამ კონკურსში გამარჯვება 3-მა მოზარდმა შეძლო. გამარჯვებულებმა ავსტრიაში, სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეებთან ერთად დაუვიწყარი ერთი კვირა გაატარეს.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

საოჯახო ონკოქეარი

2024 წელს სიახლე შევიტანეთ კიბოს რსკისგან დაზღვევის პროგრამაში - ონკოქეარი. ამ პროგრამას ჯიპიაი 2018 წლიდან ახორციელებს.

თუკი აქამდე ამ პოლისის მხოლოდ ინდივუდუალურად შეძენა იყო შესაძლებელი, გავაჩინეთ ახალი პროდუქტი **- საოჯახო ონკოქეარი.**

საოჯახო ონკოქეარის შეძენა მომხმარებელს ჯანმრთელობის ინდივიდუალურ დაზღვევასთან ერთად შეუძლია. საოჯახო ონკოქეარის საშუალებით შესაძლებელია ერთიან ლიმიტში დააზღვიო მეუღლე, შვილები და მშობლები. დაზღვეული ირჩევს საოჯახო ლიმიტს: 20 000, 40 000 ან 60 000 ლარის ოდენობით და მთელი ოჯახი დაეზღვევა აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში. ტარიფი გამოითვლება ასაკისა და საოჯახო სადაზღვევო ლიმიტის მიხედვით და არ იცვლება 5 წლის განმავლობაში.



2024 წელს კიბოს რისკისგან დაზღვევის პროგრამის ფარგლებში
14 დაზღვეულეზე 773 676 ლარის კომპენსაცია გავეცით

პოლისი ონკოქეარი ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს აზღვევს და ანაზღაურების სრულიად განსხვავებულ სისტემას გვთავაზობს - თუ დაზღვეულს დაავადება აღმოაჩნდება ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე ჯიპიაი გასცემს კომპენსაციას, რომელსაც დაზღვეული თავისი სურვილისამებრ განკარგავს.

პოლისის ღირებულება უაღრესად ხელმისაწვდომია - განსაკუთებით, დაბალ ასაკობრივ ჭრილში: მაგალითად, 0-24 წლამდე ასაკის პირებისთვის 150,000ლ-იანი პოლისის ღირებულება თვეში მხოლოდ 5 ლ-ს შეადგენს.

ონკოქეარით სარგებლობა შეუძლია 65 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს - აღსანიშნავია, რომ თუ დაზღვეულს 18 წლამდე შვილები ჰყავს, ისინი ავტომატურად ერთვებიან დაზღვევაში დამატებითი პრემიის გადახდის გარეშე.

დაზღვევის გასაფორმებლად არ არის საჭირო წინასწარი გამოკვლევების ჩატარება - პოლისის გამოწერა განაცხადის საფუძველზე უმარტივესი პროცედურით ხორციელდება.

ჯიპიაის კიბოს რისკისგან დაზღვევის პროგრამა სრულად არის მორგებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ის სპეციალურად საქართველოსთვის „ჯიპიაი ჰოლდინგისა“ და მსოფლიოს წამყვანი გადამზღვევი, შვეიცარული კომპანია Swiss Re-ს მიერ არის შემუშავებული.

პარტნიორობა მენტალური ჯანმრთელობის ცენტრებთან

2024 წელს რამდენიმე მენტალური ჯანმრთელობის ცენტრთან გავაფორმეთ პარტნიორობის ხელშეკრულება და დაზღვეულებს მათი სერვისები შევთავაზეთ. ჩვენი პარტნიორობა მენტალური ჯანმრთელობის ცენტრებთან მიზნად ისახავს, რომ ჩვენმა დაზღვეულებმა ხელმისაწვდომ ფასად მიიღონ დარგის პროფესიონალების დახმარება, გაუმკლავდნენ სტრესს და იცხოვრონ საკუთარ თავთან ჰარმონიაში. ჯიპიაი კი მათი მეგზური იქნება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზღვევის და გაუმჯობესების გზაზე.

ჩვენს დაზღვეულებს შეუძლიათ სხვადასხვა სახის მომსახურებები მიიღონ ფასდაკლებით მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში „ფსიქეა“, ქოუჩინგ ლაბორატორია და მენტალ ჰაბი.

მომსახურება მოიცავს ინდივიდუალურ თერაპიებს: არტ-თერაპია, ფსიქიატრის კონსულტაციები - ჩვენს შეთავაზებებში შედის ლიცენზირებულ ფსიქოლოგების და ფსიქიატრების კონსულტაციები , რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიონალურ შეფასებებს და პერსონალურად მემუშავებულ სამკურნალო კურსებს. ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია - კარგად გვესმის რამდენად მოთხოვნადი და აუცილებელია ჩვენს დროში ბავშვთა ადრული შეფასებები მათი სწორი განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ, საშუალებას ვაძლევთ დაზღვეულებს ისარგებლონ პროფესიონალების დახმარებით და დაეხმარონ შვილებს ემოციური წონასწორობის შენარჩუნებასა და სწორ ასაკობრივ განვითარებაში.

ჩვენი შეთავაზება ვრცელდება ქოუჩინგის სესიებზე პიროვნული განვითარებისთვის. პიროვნული განვითარება ერთ-ერთი მთავარი გზა, რათა განვავითაროთ ჩვენი შინაგანი რესურსები, გავუმჯობესოთ უნარები და დავისახოთ მიზნები. ქოუჩინგი კი ამ პროცესში ძალზე ეფექტური მიდგომაა.

ქოუჩინგი არის პროცესი, რომელიც მოიცავს პროფესიონალის დახმარებით კონკრეტული მიზნების დასახვას და მიღწევას. ეს მეთოდი ეხმარება ადამიანებს უკეთ გაიგონ საკუთარი თავი, გაარკვონ თავიანთი ძალები და სუსტები. სესიების განმავლობაში, მონაწილეები სწავლობენ საკუთარ ქცევებს, გრძნობებს და იმპულსებს, რაც ხელს უწყობს პიროვნულ ზრდას.

ჩვენი პარტნიორი მენტალჰაბი ფასდაკლებებს სთავაზობს ჩვენს დაზღვეულ ორგანიზაციებს ისეთ სერვისებზე როგორიცაა: ორგანიზაციული ფსიქოლოგია და ტესტირება. ორგანიზაციული ფსიქოლოგია ფოკუსირებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს სამუშაო გარემო ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება.ორგანიზაციული ტესტირება საშუალებას იძლევა შეფასდეს სამუშაო გარემო, სადაც თანამშრომლები მუშაობენ, გამოკვლეული იქნას სტრესისა და შფოთვის დონეები თანამშრომლებში, რაც შეიძლება ნეგატიურად აისახებოდეთ მათ პერფორმანსზე. ეს მონაცემები ორგანიზაციას დაეხმარება, საჭირო ცვლილებები გაატაროს - შეცვალოს ორგანიზაციული კულტურა და გაუმჯობესოს სამუშაო გარემო.

ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

განახლებული აპლიკაცია

2024 წელს სრულად განვაახლეთ მობილური აპლიკაცია MYGPI. 100 000-ზე მეტ დაზღვეულს უკვე შეუძლია დაზღვევის ყველა სერვისი ონლაინ, უსწრაფესად მიიღოს. მომხმარებლების საჭიროებებისა და მოთხოვნების მიხედვით სრულად შეიცვალა აპლიკაციის დიზაინი და რამდენიმე ახალი ფუნქციონალი დაემატა. განახლებული აპლიკაცია დაზღვევის სერვისებით სარგებლობას კიდევ უფრო სწრაფს, მარტივს და კომფორტულს ხდის.

აპლიკაცია გამოირჩევა თავისი დახვეწილი და თანამედროვე ვიზუალით. ჩვენი დეველოპერების გუნდმა ბევრი იმუშავა იმისთვის, რომ დიზაინიც და ფუნქციონალიც ყველა მომხმარებლისთვის მაქსიმალურად გასაგები და მატივად გამოსაყენებელი იყოს. სისწრაფე, სიზუსტე, სიმარტივე და კომფორტი ეს ჯიპიაის, როგორც ბრნდის სერვისის მთავარი ატრიბუტებია - განახლებული აპლიკაციაც სწორედ ამ ოთხ მახასიათებელს ეფუძნება.

თინათინ კობერიძე
სტრატეგიული განვითარების დირექტორის მოადგილე

“საქართველოში დაზღევის გაციფრულების პროცესში ჯიპიაი მოწინავე კომპანიაა და განვითარებას მუდმივად განვარგრძობთ. ციფრული განვითარება ჩვენი ბიზნეს სტრატეგიის მთავარი მიმართულებაა - განახლებული აპლიკაცია კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია პროცესების სრული ავტომატიზაციის გზაზე და 2016 წლიდან დღემდე ძალიან დიდი შრომა გავწიეთ იმისთვის, რომ ჩვენს დაზღვეულებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით მომსახურება მაქსიმალურად სწრაფად, კომფორტულად და მარტივად მიეღოთ. სიახლეები, რომელთაც ყოველწლიურად ვნერგავთ მომსახურებაში სრულად ეფუძნება მომხმარებლების ქცევის ანალიტიკას. მუდმივად ვსწავლობთ რა სურთ ჩვენს დაზღვეულებს, რა გაუმარტივებთ დაზღვევის პროცესს, რა მოსწონთ და რა - არა. ამ ცოდნას კი სერვისების გასაუმჯობესებლად ვიყენებთ. განახლებული აპლიკაციაც ამ ცოდნის შედეგია. დიზაინიც და ფუნქციონალიც სრულად განახლდა და ზუსტად ასახავს იმ მოთხოვნებსა და საჭიროებებს რაც დაზღვევის მომხმარებლებს აქვთ.„



სწრაფი **მარტივი** **კომფორტული**

განახლებული აპლიკაციით უფრო სწარაფად და მარტივადაა შესაძლებელი:

- მოითხოვო მიმართვა და მიიღო დაფინანსება ადგილზე, 100-ზე მეტ პროვაიდერ კლინიკაში / შეიძინო ექიმის გამოწერილი მედიკამენტები დაფინანსებით პროვაიდერ აფთიაქებში
- ერთდროულად ჩაეწერო პირად ექიმთან, სპეციალისტთან და ინსტრუმენტულ კვლევებზე კურაციოში
- ექიმთან ჩაწერის ჯავშანი უკვე პირად კალენდარში აისახება და დაზღვეულს მოახლოვებულ ვიზიტს შეახსენებს
- უკვე შესაძლებელია ავტოდაზღვევის პოლისში, უფლებამოსილი მძღოლი აპლიკაციით დაამატო
- მიაბა საბანკო ბარათი აპლიკაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად პოლისი თანხა ავტომატუად ჩამოიჭრება და გადახდაზე დროის დახარჯვა აღარ იქნება საჭირო
- მოითხოვო საგარანტიო წერილი
- ნახო პროვაიდერი სტომატოლოგიური კლინიკები
- აინაზღაურო თანხა
- იყიდო დაზღვევა

სიჩქარე - თანამედროვე სწრაფი ცხოვრების წესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ჯიპიაის განახლებული აპლიკაცია სწორედ ამისთვის არის შექმნილი. ყველა სერვისს ონლაინ რეჟიმში, ლოდინის გარეშე უსწრაფესად დაგეგმავ და მართავ - ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილიდან.

მომენტალური ანაზღაურება - 2024 წელს, პირველად, ქართულ ბაზარზე, ჯიპიაიმ, Mastercard-თან და ლიბერთი ბანკთან ერთად, სადაზღვევო ანაზღაურების ინოვაციური სერვისი დაინერგა. ახალი ინციატივა საბანკო ბარათზე, ნებისმიერი ტიპის ანაზღაურების მომენტალურ ასახვას გულისხმობს.

აქამდე, ყველა ტიპის მომხმარებლისთვის, ზარალის ანაზღაურება სტანდარტულად, გარკვეული პერიოდის გათვალისწინებით, საბანკო ანგარიშზე თანხის დარიცხვით ხორციელდებოდა. ახალი სერვისით კი პროცესის გამარტივდა და ანაზღაურების პროცესი მომხმარებლისთვის უფრო სწრაფი და მოსახერხებელი გახდა.

ამ სიახლის დახმარებით, ჩვენი კომპანიის სხვადასხვა სადაზღვევო სერვისით მოსარგებლე პირებს საშუალება აქვთ აირჩიონ დამახსოვრებული ბარათი ან შეიყვანონ ახლის მონაცემები, რომელზეც ასანაზღაურებელი თანხა მომენტალურად აისახება.

მნიშვნელოვანი ლონისძიებები

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი – განვითარების და ზრდის პერსპექტივები

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ მასშტაბური კონფერენცია გადამზიდავი კომპანიებისთვის.

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ ორგანიზებით, საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო გადამზიდავი კომპანიებისთვის კონფერენცია - საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი - ზრდა და განვითარება - გაიმართა.

ღონისძიებაზე სპიკერებმა სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სექტორის გამოწვევებზე და შესაძლებლობებზე იმსჯელეს. გადამზიდავი კომპანიების როლსა და განვითარების პერსპექტივებზე შუა დერეფანში,სტუმრებს საქართველოს გადამზიდავთა ასოციაციის პრეზიდენტი, ირაკლი ნემსაძე ესაუბრა. კონფერენციაზე ხაზი გაესვა დაზღვევის - როგორც ფინანსური რისკებისგან დაცვის საკითხის მნიშვნელობას. ექსპედიტორებს საშუალება ჰქონდათ „ჯიპიაი ჰოლდინგის“ შეთავაზებას გაცნობოდნენ, რომელიც სპეციალურად მცირე და საშუალო გადამზიდავების საჭიროებებს ითვალისწინებს და მათზეა მორგებული.

კონფერენციის ბოლოს ექსპედიტორებს, საშუალება მიეცათ ინდივიდუალური საკონსულტაციო სესიები გაეარათ ექსპერტებთან, რისკების მართვის და საბაჟო-საგადასახადო საკითხებზე.

კონსტანტინე მანჯგალაძე

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ NLI ბაზარზე განვითარების დირექტორის მოადგილე

„ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი საგრძნობლად გაიზარდა და უმნიშვნელოვანეს როლს ვასრულებთ აზიისა და ევროპის დაკავშირებაში, უნდა ვისაუბროთ იმ გამოწვევებზე, რომელიც ამ სექტორის განვითარებას აფერხებს. სატრანზიტო დერეფნის გამართულად ფუქციონირებისთვის აუცილებელია რისკების მინიმუმამდე დაყვანა. ერთადერთი მექანიზმი კი, რომელიც სატრანსპორტო კომპანიებს ფინანსურ ზარალს ააცილებს, დაზღვევაა. ამშეხვედრაზეჩვენგანსაკუთრებითგავუსვითხაზიმცირედასაშუალო კომპანიების პასუხისმგებლობის დაზღვევის მნიშვნელობას, რადგან დღეს ეს პრობლემა ყველაზე მეტად აფერხებს სექტორს. იმისთვის, რომ ტვირთი სრულად დაზღვეული იყოს უშუალოდ ტვირთის და კონტეინერის დაზღვევასთან ერთად, აუცილებელია დაზღვეული იყოს იმ გადამზიდავის პასუხისმგებლობაც, რომელსაც ის გადააქვს. დიდი კომპანიებისთვის უაღრესად მნიშვნელვანია, საქმე დაიჭიროს ისეთ გადამზიდავთან, რომელიც ზრუნავს საოპერაციო რისკებზე და ლოგისტიკას უპრობლემოდ მიხედავს და შესაბამისად, ითხოვენ სრულყოფილ ფინანსურ გარანტიებს. სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრეთ, მცირე გადამზიდავებს და ავუხსენით რა როლი აქვს მათი პასუხისმგებლობის დაზღვევას და რა სარგებელი მოაქვს დაზღვევას მათთვის, რომ გაზარდონ კლიენტების ბაზა და გაიუმჯობესონ კომერციული მდგომარეობა. მიგვაჩნია, რომ სადაზღვევო მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება ხელს შეუწყობს საქართველოზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას და მეტი ტვირთის მოზიდვას. ამ მიმართულებით ცნობიერების გაზრდას ჩვენ მომავალშიც შევუწყობთ ხელს სხვადასხვა აქტივობით.„

კონფერენციაში მონაწილეობა დასავლეთ საქართველოში მოქმედმა 200-მდე მცირე და საშუალო გადამზიდავმა კომპანიამ მიიღო. კონფერენციის მხარდამჭერები „სოკარი“ და აუდიტორული კომპანია „გრანთ თორნთონი“ იყვნენ.

პრო ბონო მარათონი

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ მარკეტინდგის გუნდმა 17 აპრილს, რიგით მე-6 „პრო ბონო მარათონში მიიღო მონაწილეობა. „პრო ბონო მარათონი 2024“ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ორგანიზებით გაიმართა. მარათონის მიზანი საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და მხარდაჭერაა.

ჩვენი კომპანიის თანამშრომლები მარათონის ფარგლებში სოციალურ საწარმო „ტექგოგოს” საკომუნიკაციო კამპანიის შემუშავებაში დაეხმარნენ.

„ტექგოგო” ციფრული სოციალური საწარმოა, რომლის მისიაა ქვემო ქართლის რეგიონში ქალების მოწყვლადი ჯგუფებს ეკონომიკური გაძლიერება, მათთვის ციფრული განათლების მიცემისა და დასაქმების გზით.

მარათონს წინ უძღოდა პრო ბონო კონსულტანტებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების ერთობლივი მოსამზადებელი შეხვედრები, რომელიც მოიცავდა სამუშაო ეტაპს: პროცესის დაგეგმვიდან - სრული მასალის მომზადებამდე.

CO³ საინვესტიციო კონფერენცია თბილისში

ვენის სადაზღვევო ჯგუფთან (VIG)“ ერთად 19-21 აგვისტოს ვუმასპინძლეთ საინვესტიციო კონფერენციას თბილისში. კოფერენციაზე ჯგუფის წევრი კომპანიების.

თანამშრომლებმა თურქეთიდან, მოლდოვიდან და საქართველოდან მდგრად საინვესტიციო სტრატეგიებსა და ზოგადად რეგიონში შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე ვიმსჯელეთ . ერთობლივი ღონისძიება, რეგულარად ტარდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ხორციელდება VIG-ის სტრატეგიული მიზნის - CO³ (Communication, Collaboration and Cooperation) ფარგლებში და მისი მიზანია, გააძლიეროს კომუნიკაცია და თანამშრომლობა ჯგუფის მასშტაბით, სხვადასხვა წევრ კომპანიებს შორის.

კონფერენციაზე ხაზი გაესვა საინვესტიციო გადაწყვეტილებებში მდგრადობის ინტეგრაციის მნიშვნელობას, ეს მიდგომა თანხვედრაშია „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ გრძელვადიან მიზანთან - 2050 წლისთვის, 0- მდე შეამციროს სათბური გაზის ემისიები. მდგრადობის ფართო პროგრამა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: აქტივების პასუხისმგელიანი მენეჯმენტი, მდგრადი ანდერრაიტინგი და კლიმატზე მინიმალური ზემოქმედების ოპერაციების ხელშეწყობა. 2024 წლიდან ჯიპიაი აქტიურად ჩაერთო ამ პროცესებში. ყველა ამ მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა და „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ მხარდაჭერით ამ მიზნების შესასრულებლად პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით.

კონფერენციის მსვლელობისას ინდუსტრიის ლიდერებმა და ექსპერტებმა საფუძვლიანად განიხილეს მდგრადი ინვესტიციების პრაქტიკები, მიმოიხილეს, თუ რა დადებითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ პრაქტიკას საქართველოს სოციალურ გარემოზე და ბუნებაზე.

VIG
VIENNA INSURANCE GROUP

სოციალური პროექტები

მოქმედების დღე

“მოქმედების დღე“ ჩვენი კომპანიის სოციალური პროექტია, რომელსაც 2019 წლიდან ვახორციელებთ. პროექტის ფარგლებში ჩვენი კომპანიის ყველა თანამშრომელს ვჩუქნით ერთ დამატებით შვებულების დღეს, რომელიც შეუძლია სოციალურ აქტივიზმს მოახმაროს. ერთი დღე გაატაროს ადამიანებთან, ვისაც დახმარება ესაჭიროება.

2024 წელს “მოქმედების დღის“ პროექტებში ჯიპიაის 419-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

ხურვალეთელი ბავშვები

25 თებერვალს ჯიპიაის თანამშრომლები საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ხურვალეთში ჩავიდნენ და იქ მცხოვრებს ბავშვებს ნანატრი საჩუქრები ჩაუტანეს. პროექტი გიორგი ანწუხელიძის ფონდთან თანამშრომლობით განხორციელდა. ფონდის წევრებმა შეაგროვეს ბავშვების სურვილები, ჯიპიაის 100-მდე თანამშრომელმა კი მათ ასრულებაზე იზრუნა.

წნორი – სოციალურად დაუცველი ბავშვები

საქართველოში უმარავი სოციალურად დაუცველი ბავშვია, რომელთა მშობლებსაც მათი ელემენტარული საჭიროებებით უზრუნველყოფა არ შეუძლიათ.

ჯიპიაის კორპორაციული გაყიდვების თანამშრომლება მოქმედების დღე სწორედ სოციალურად დაუცველ ბავშვებს მიუძღვნეს. კომკრეტულად კი წნორში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ბავშვებს.

პროექტი სექტემბერში შედგა, როცა საქართველოს სკოლებში სწავლა დაიწყო. ჯიპიაის თანამშრომლებმა გაიგეს, რომ ამ ბავშვებს სკოლისთვის საჭირო ელემენტარული ნივთები არ ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, 30 ბავშვისთვის შევიძინეს სკოლისთვის საჭირო ყველა ნივთი , წნორში ესტუმრნენ და ბავშვებს გადასცენ. შეხვედრა წნორის ცოდნის კაფეში შედგა.

მრავალშვილიანი ოჯახის მხარდაჭერა

საცალო გაყიდვების თანამშრომელთა ნაწილმა მოქმედების დღის ფარგლებში მრავალშვილიან ოჯახის დახმარება გადაწყვიტა. წინასწარ დაუკავშირდნენ სოციალურად დაუცველ ოჯახს თბილისში. გაარკვიეს მათი საჭიროებები, ბავშვების საახალწლო სურვილებიც გაარკვიეს და მათ ასრულებაზეც იზრუნეს. ახალი წლის საჩუქრებთან ერთად, ოჯახს სურსათ სანოვაგე შეუგროვეს და გადასცეს.

გლდანის მოხუცებულთა პანსიონატი

გლდანის მოხუცებულთა პანსიონატის ბენეფიციარებმა საახალწლო სურვილები გამოგვიგზავნეს. ჯიპიაის თანამშრომლებმა კი ყველა მათგანის ასრულებაზე იზრუნეს.მოქმედების დღის ფარგლებში, წინასაახალწლოდ ეწვივნენ მოხუცებს და ერთი დღე გაულამაზეს.

კათარზისი

საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი "კათარზისი" არის სოციალური დახმარების ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური სამსახურები, რომლებიც აქტუალურია ასაკოვანი მოსახლეობისათვის.ჩვენი კომპანია უკვე წლებია მათთან თანამშრომლობს და 2024 წელსაც მოხუცებულთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, კათარზისს 2000 ლარით დავეხმარეთ.

სტუდენტების დახმარება

თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საქველმოქმედო „ალუმნი ფონდი" და ჯიპიაი სოციალურად დაუცველი სტუდენტების დასახმარებლად გავერთიანდით. თანამშრომლობის ფარგლებში, თავისუფალი უნივერსიტეტის ნიჭიერ და წარმატებულ ორ სოციალურად დაუცველ სტუდენტს უნივერსიტეტში სწავლა დავუფინანსეთ.

ალუმნი ფონდი თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მოხელისეობრივი ორგანიზაციაა და მე-5 წელია სოციალურად დაუცველი სტუდენტების სტიპენდიებით მხარდაჭერაზე მუშაობს.

ფინანსური შედეგები

შედეგები (ათას ლარებში)	2024	2023
სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**10,438**	**9,383**
პერიოდის წმინდა მოგება	**7,989**	**8,714**
გადახდისუნარიანობის მარჟა	**247%**	**143%**
მინიმალური კაპიტალის მარჟა	**466%**	**312%**

2023 წელს კომპანიამ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დანერგა ფასს 17. ამის შედეგად შეიცვალა ფინანსურ ანგარიშგებაში სადაზღვევო აქტივების, ვალდებულების, მოგების და ზარალის პრეზენტაცია.

2023 და 2024 წლების ბოლოს კომპანია აღწევს მაღალ მარჟებს, როგორც გადახდისუნარიანობის, ისე მინიმალური კაპიტალის ნაწილში, რაც თავის მხრივ მეტყველებს კომპანიის სტაბილურობაზე და ფინანსურ სიმყარეზე.

„ბიზნეს რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ერთ-ერთი გამოწვევა ფინანსურ რისკს უკავშირდება, რომელიც მოიცავს საპროცენტო განაკვეთს, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. დეტალურად ეს რისკები ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული“

ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი